ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 2016

რეგულაციები

ნაწილი 1 - ზოგადი პრინციპები

მუხლი 1

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი (შემდგომში „შეჯიბრი“) არის ყოველწლიური შეჯიბრი, რომელიც ორგანიზებულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ მიერ. (შემდგომში „შეჯიბრის ორგანიზატორები“)

მუხლი 2

მხოლოდ შეჯიბრის ორგანიზატორებს შეუძლიათ გადაწყვიტონ შეჯიბრთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი.

მუხლი 3

მხოლოდ შეჯიბრის ორგანიზატორებს შეუძლიათ შეიტანონ რაიმე ცვლილება წინამდებარე რეგულაციებში.

ნაწილი 2 - მონაწილე გუნდების შერჩევა

მუხლი 4

შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს სამი წევრისაგან, რომლებიც ერთსა და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (უსდ) უნდა წარმოადგენდნენ. გუნდის წევრები შეიძლება სწავლობდნენ ბაკალავრიატის მე-2 ან შემდგომ კურსზე ან მაგისტრატურაზე. სამივე წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიში, რომელსაც წარმოადგენს;
- უნდა სწავლობდეს სამართლის ან სამხედრო მიმართულებაზე;

- აქამდე არ უნდა ჰქონდეს შეჯიბრის დასკვნით ეტაპზე მონაწილეობა მიღებული;

სააპლიკაციო ფორმის მოთხოვნა შესაძლებელია შეჯიბრის ორგანიზატორისაგან შემდეგ მაილზე შეტყობინების გაგზავნის გზით: mkardava@icrc.org

მას შემდეგ რაც გუნდი გააგზავნის აპლიკაციას, დაუშვებელია გუნდის რომელიმე წევრის ჩანაცვლება სხვა წევრით, გარდა გამონაკლისი შემთხვეევებისა, რაც გამოწვეულია ჯანმრთელობის ან სხვა გამოუვალი მდგომარეობის გამო. ყველა ასეთი თხოვნა გუნდის წევრის ჩანაცვლების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეჯიბრის ორგანიზატორებს.

მუხლი 5

იმისათვის რომ გუნდმა გააკეთოს განაცხადი, მან უნდა გამოგზავნოს სრულად შევსებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეიცავს შესარჩევ საკითხებსაც, არა უგვიანეს **2015 წლის 11 აპრილის 16:00 სთ-სა (თბილისის დროით) ელექტრონულ მისამართებზე: mkardava@icrc.org; mmamisashvili@icrc.org** გუნდები მიიღებენ აპლიკაციის ჩაბარების დადასტურებას ელ-ფოსტით მომდევნო 24 საათში. თუკი ელ-ფოსტა არ მოგვიდათ, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ შეჯიბრის ორგანიზატორებს.

მუხლი 6

შესარჩევი ტურის შედეგების შესახებ გუნდები მიიღებენ შეტყობინებას ელექტრონული ფოსტით არა უგვიანეს 2016 წლის 18 აპრილისა. გუნდებს შეტყობინება მიუვათ უარყოფითი პასუხის შემთხვევაშიც.

შერჩეული გუნდები ვალდებულნი არიან ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაუდასტურონ მათი მონაწილეობა შეჯიბრის ორგანიზატორებს არა უგვიანეს 2016 წლის 20 აპრილისა, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი მოიხსნება მონაწილეთა სიიდან.

მუხლი 7

შესარჩევი ტურის შედეგად შერჩეულ გუნდებს ჩაუტარდებათ ინტენსიური ლექციები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და მომიჯნავე სფეროებში. თუკი შერჩეული გუნდების რაოდენობა აღემატება ექვს, ლექციების კურსის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს ინდივიდუალურად მიეცემათ წერილობითი დავალება, რომლის შესრულებაზეც იქნება დამოკიდებული გუნდების საბოლოო მონაწილეობა შეჯიბრში.

მუხლი 8

შეჯიბრის დასკვნით რაუნდში მონაწილეობას იღებს ექვსი გუნდი.

მუხლი 9

შეჯიბრში გუნდის მონაწილეობა უფასოა. გუნდს არ ეკისრება არანაირი თანხის გადახდის ვალდებულება არც რეგისტრაციის და არც მონაწილეობის ეტაპზე. ყველა ხარჯი, რაც დაკავშირებული

გუნდის წევრთა ტრანსპორტირებასთან, განთავსებასა და კვებასთან იფარება ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

ნაწილი 3 - შეჯიბრის გამართვა

მუხლი 10

უშუალოდ შეჯიბრის დროს გუნდები ფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) ძირითადი კრიტერიუმი: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი;

ბ) საერთაშორისო საჯარო სამართლის ცოდნა;

გ) სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობის უნარი;

დ) როლური თამაშების დროს გუნდის სხვა წევრებისა და სხვა გუნდების პატივისცემის უნარი;

ე) გუნდური მუშაობის უნარი;

ვ) არგუმენტაციის უნარი;

ზ) სხვების მოსმენის კულტურა;

თ) ზეპირი მეტყველების უნარი (მათ შორის აზრის სწორად, თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემა; გრძნობების გამოხატვა, სადაც ეს საჭიროა და სხვა);

ი) მიცემული დროის ეფექტურად მართვის უნარი.

მუხლი 11

ტესტები მიმდინარეობს იმ განრიგის მიხედვით, რომელიც დაურიგდებათ მონაწილეებს უშუალოდ შეჯიბრის მსვლელობისას.

მუხლი 12

შეჯიბრის ენა არის ქართული. დასაშვებია ზოგიერთი სამართლებრივი ტერმინის ინგლისურ ენაზე გამოყენებაც.

მუხლი 13

შეჯიბრის წინა პერიოდში გუნდებს ჩაუტარდებათ ლექციები, რომლის შემდეგაც ელექტრონული ფორმით მიიღებენ ძირითად მოსამზადებელ მასალებს (აღნიშნული არ ზღუდავს გუნდებს მოემზადონ სხვა ალტერნატიული მასალებითაც). უშუალოდ სიტუაციების აღწერას და ტესტის პირობებს გუნდები გაიგებენ შეჯიბრის მსვლელობისას.

მუხლი 14

შეჯიბრის განმავლობაში ყველა გუნდს ეყოლება ტუტორი, რომელიც მათ დაეხმარება როლური თამაშის, არგუმენტაციის, ზეპირი მეტყველების, გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებასა და გაუმჯობესებაში. ტუტორს ეკრძალება რაიმე სახის სამართლებრივი

რჩევის მიცემა გუნდისათვის, რაც დაკავშირებულია შეჯიბრის ტესტებთან.

მუხლი 15

ფინალში გადის ორი გუნდი, რომელთაგანაც გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. ფინალის დასრულებისას გამოვლინდება ასევე გამარჯვებული საუკეთესო სპიკერის კატეგორიაში.

ნაწილი 4 - ლოჯისტიკური საკითხები

მუხლი 16

შეჯიბრის დასკვნითი რაუნდი ჩატარდება 2016 წლის 27-28-29 მაისს, ყვარელში. მონაწილეობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ფარავს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.

მუხლი 17

შეჯიბრის მსვლელობის დროს დაუშვებელია გუნდის რომელიმე წევრის მიერ კომპლექსის უნებართვოდ დატოვება. გუნდები რომლებიც ვერ გადავლენ ფინალში ვალდებულნი არიან დარჩნენ ადგილზე შეჯიბრის დასრულებამდე.

მუხლი 18

მონაწილენი თავად არიან პასუხისმგებელნი თავიანთი სპეციალური საჭიროებების შესახებ. შეჯიბრის ორგანიზატორები იხსნიან ვალდებულებას უზრუნველყონ მონაწილენი რაიმე მედიკამენტით ან სამედიცინო ან სამგზავრო დაზღვევით.

მუხლი 19

შეჯიბრის ორგანიზატორებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია უნდა მოხდეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლის, ქალბატონი მაია ქარდავას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. (მის: mkardava@icrc.org)

მუხლი 20

მნიშვნელოვანი თარიღები:

14.03.2016 - სააპლიკაციო პაკეტი ხელმისაწვდომია, რეგისტრაცია იწყება;

11.04.2016 - შევსებული სააპლიკაციო პაკეტის გაგზავნის ბოლო ვადა;

18.04.2016 - გუნდებს ეცნობებათ შესარჩევი ეტაპის შედეგები;

20.04.2016 - გუნდები ადასტურებენ თავიანთ მონაწილეობას შეჯიბრში;

მაისი - ინტენსიური სალექციო კურსი;

27.05.2016 - 29.05.2016 - ფინალი ყვარელში.